შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის

ბუნებისმეტყველება

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - პროფესიული ცოდნა და აკადემიური უნარები - და 42 დავალებას შეიცავს.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 65.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აიჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

პროფესიული ცოდნა

1. ურთიერთობის როგორი ტიპია ხემცენარესა და აბედა სოკოს შორის?

(ა) პარაზიტიზმი

(ბ) ცალმხრივი სიმბიოზი

(გ) კონკურენცია

(დ) ორმხრივი სიმბიოზი

2. ჟანგბადი, რომელიც გამოიყოფა ფოტოსინთეზის დროს, წარმოიქნება:

(ა) CO_2-ის დაშლის შედეგად

(ბ) ქლოროფილის დაშლის შედეგად

(გ) H_2O-ის დაშლის შედეგად

(დ) ნახშირწყლების დაშლის შედეგად

3. გამრავლების რომელი ტიპის საფუძველია ორგანიზმის რეგენერაციული უნარი?

(ა) პართენოგენეზის

(ბ) სქესობრივის

(გ) ფრაგმენტაციის

(დ) ხელოვნური განაყოფიერების

4. თევზისგან განსხვავებით, ბაყაყს აქვს:

(ა) ნეკნები

(ბ) კისრის მალები

(გ) სისხლძარღვთა სისტემა

(დ) ხერხემალი

5. ფრინველთა ორმაგი სუნთქვა წარმოადგენს:

I–ფრენასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან შეგუებას.
II – თბორეგულაციის საშუალებას.

ამ დებულებებიდან რომელია მართებული?

(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) ორივე
(დ) არც ერთი

6. ეკოლოგიურ წონასწორობაში მყოფ ტყის ეკოსისტემაში ჭარბი ნადირობის გამო მთლიანად განადგურდა მგლის პოპულაცია. რომელია მოვლენათა განვითარების ყველაზე სავარაუდო სცენარი?

I. შემცირდება აღმონაცენის რაოდენობა და დაკნინდება ტყის თვითაღდგენის პოტენციალი.
II. ტყეში მოიმატებსწაბლისა და პანტის მსხმოიარობა.
III. ირმისა და შვლის პოპულაციებში გაიზრდება ეპიდემიების რისკი.

ზემოთ მოცემულთაგან რომელია მართებული?
(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) I და III
(დ) II და III

7. პათოგენების წინააღმდეგ სხვადასხვა ცოცხალი ორგანიზმის დაცვით რეაქციებს **<u>არ მიეკუთვნება:</u>**

(ა) ანტიბიოტიკების წარმოქმნა

(ბ) ანთებითი რეაქცია

(გ) სპეციფიკური იმუნიტეტი

(დ) ცირკადული რიტმები

8. სუნთქვის ცენტრი მდებარეობს:

(ა) მოგრძო ტვინში

(ბ) ნათხემში

(გ) ზურგის ტვინში

(დ) შუა ტვინში

9. 0° C-ზე წყალი შეიძლება იყოს:

(ა) როგორც მყარ, ისე თხევად ან აირად მდგომარეობაში

(ბ) მხოლოდ აირად მდგომარეობაში

(გ) მხოლოდ თხევად მდგომარეობაში

(დ) მხოლოდ მყარ მდგომარეობაში

10. დაადგინეთ შესაბამისობა ქიმიური ელემენტის დასახელებასა და სიმბოლოს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ქიმიური ელემენტის დასახელების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ ქიმიური ელემენტის სიმბოლოს შესაბამისი ნომერი.

(ა) ალუმინი
(ბ) ჟანგბადი
(გ) გოგირდი
(დ) სპილენძი

1.O
2.Al
3.Cu
4. S
5.Ag

ა	ბ	გ	დ

11. დაადგინეთ შესაბამისობა ფოტოებზე გამოსახულ ორგანიზმებსა და ბუნებრივი მტრისგან თავდაცვის ადაპტაციებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ფოტოს აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი ადაპტაციის ნომერი *(გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია პასუხის გამეორება; მაქსიმალური ქულა 1).*

(ა)

(ბ)

1. გარეგანი ჩონჩხი
2. გამაფრთხილებელი შეფერილობა
3. მფარველობითი შეფერილობა

(გ)

(დ)

ა	ბ	გ	დ

12. დაადგინეთ შესაბამისობა ფოტოებზე გამოსახულ ობიექტებსა და კვებითი ჯაჭვის რგოლებს შორის. მოცემულ ცხრილში ფოტოზე გამოსახული ობიექტის აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ კვებითი ჯაჭვის შესაბამისი რგოლის ნომერი *(გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია პასუხის გამეორება; მაქსიმალური ქულა 1).*

(ა)

(ბ)

(გ)

(დ)

(ე)

1. პროდუცენტი
2. რედუცენტი
3. I რიგის კონსუმენტი
4. II რიგის კონსუმენტი

ა	ბ	გ	დ	ე

13. დააჯგუფეთ ფოტოებზე გამოსახული მცენარეები იმის მიხედვით, მწერებით იმტვერებიან ისინი თუ ქარით.

(1)

(2)

(3)

(4)

(5)

(6)

1. იმტვერებიან მწერებით _____
2. იმტვერებიან ქარით _____ (მაქსიმალური ქულა 1)

14. ცნობილია, რომ არ არსებობს არც ერთი ისეთი ქიმიური რეაქცია, რომლის შედეგად რკინა უფრო მსუბუქ ნივთიერებებად დაიშლება. რით არის ეს განპირობებული?

(მაქსიმალური ქულა 1)

15. ზამთარში, ყინვაში სველი თითები მიეყინება ხოლმე ლითონის საგნებს, ხისას კი – არა. ახსენით, რატომ ხდება ასე.

(მაქსიმალური ქულა 1)

16. ახსენით, რა ფუნქციური ანალოგია არსებობს სურათზე გამოსახული ცოცხალი ორგანიზმის ნაწილსა და ადამიანის მიერ შექმნილ ობიექტს შორის.

(მაქსიმალური ქულა 2)

17. ამფიბიებისგან განსხვავებით, ქვეწარმავლებს კიდურები სხეულის ქვედა მხარეს აქვთ განლაგებული. რამ განაპირობა ეს ევოლუციური ცვლილება?

(მაქსიმალური ქულა 2)

18. ახსენით, რატომ არის აუცილებელი კალციუმის იონების „ნეიტრალიზება“ სისხლის ბანკებში დაცულ ნიმუშებში.

(მაქსიმალური ქულა 1)

19. რა განსხვავებაა ეროვნულ პარკსა და სახელმწიფო ნაკრძალს შორის?

(მაქსიმალური ქულა 2)

20. მოკლედ მიმოიხილეთ დამმტვერავების როლი ბუნებასა და ადამიანის ცხოვრებაში; გამოიყენეთ მაგალითები და აღწერეთ, თუ რა მოხდება დედამიწაზე, დამმტვერავები რომ გაქრნენ.

(მაქსიმალური ქულა 2)

21. თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა არის გლობალური დათბობა. შეასრულეთ ამ პრობლემასთან დაკავშირებით ქვემოთ მოცემული დავალებები:

21.1. დაასახელეთ დედამიწაზე გლობალური დათბობის გამომწვევი, სულ მცირე, 2 აირი (სათბურის გაზები).

(მაქსიმალური ქულა 1)

21.2. დაასახელეთ სათბურის გაზების რაოდენობის მატების, სულ მცირე, 2 ძირითადი მიზეზი.

(მაქსიმალური ქულა 1)

21.3. ახსენით დედამიწის ატმოსფეროში მიმდინარე „სათბურის ეფექტის“ მოქმედების პრინციპი.

(მაქსიმალური ქულა 2)

22. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი სათაური შეესაბამება მოცემულ რუკას?

(ა) მეწყერსაშიში ზონები

(ბ) ტყის ფონდი

(გ) ფარდობითი ტენიანობა

(დ) მოსახლეობის სიმჭიდროვე

23. ფოტოებზე გამოსახული ლანდშაფტებიდან რომელი **<u>არ გვხვდება</u>** საქართველოს ტერიტორიაზე?

(ა)

(ბ)

(გ)

(დ)

24. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია ჭარბტენიანი ლანდშაფტები დაცვის ძირითადი ობიექტი?

(ა) ლაგოდეხის ნაკრძალში
(ბ) ვაშლოვანის ნაკრძალში
(გ) კოლხეთის ეროვნულ პარკში
(დ) თუშეთის ეროვნულ პარკში

25. ჩამოთვლილთაგან რომელი <u>**არ არის**</u> ტროპიკული ტყეების სახელწოდება?

(ა) ჯუნგლი
(ბ) სელვა
(გ) პრერია
(დ) ჰილეა

26. რა არის გამოსახული ილუსტრაციაზე?

(ა) კანიონი

(ბ) კრატერი

(გ) აისბერგი

(დ) პიკი

27. რომელია მსოფლიო ოკეანის ყველაზე ღრმა ადგილი?

(ა) იავის ღარი
(ბ) პუერტო-რიკოს ღარი
(გ) მარიანას ღარი
(დ) ფილიპინების ღარი

28. სად არის ოკეანის ზედაპირული წყლის ტემპერატურა უფრო მაღალი?

(ა) ჩ.გ. 23,5° ა.გ. 40°
(ბ) ჩ.გ. 66,5° დ.გ. 20°
(გ) ს.გ. 55,5° დ.გ. 60°
(დ) ს.გ. 35,5° ა.გ. 10°

29. მზის სისტემაში სად მდებარეობს ე. წ. „ასტეროიდების სარტყელი“?

(ა) ვენერასა და დედამიწის ორბიტებს შორის
(ბ) დედამიწისა და მარსის ორბიტებს შორის
(გ) მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის
(დ) იუპიტერისა და სატურნის ორბიტებს შორის

30. რომელი თანავარსკვლავედების მიხედვით შეიძლება გეოგრაფიული პოლუსების **<u>ყველაზე ზუსტად</u>** განსაზღვრა შეუიარაღებელი თვალით?

(ა) პატარა დათვისა და სამხრეთის ჯვრის
(ბ) დიდი დათვისა და სამხრეთის ჯვრის
(გ) სამხრეთის გვირგვინისა და პატარა დათვის
(დ) დიდი დათვისა და ჩრდილოეთის გვირგვინის

31. დაადგინეთ შესაბამისობა კონტინენტებსა და მათი მდებარეობის შესახებ მოცემულ ინფორმაციას შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მდებარეობის აღწერილობას მიუწერეთ შესაბამისი კონტინენტის ნომერი *(გაითვალისწინეთ, რომ ერთი შესაძლო პასუხი ზედმეტია).*

(ა) ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მდებარეობს ტროპიკებს შორის და მას კვეთს გრინვიჩის მერიდიანი

(ბ) ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მდებარეობს პოლარულ წრესა და კირჩხიბის ტროპიკს შორის

(გ) ცენტრალურ ნაწილში გადის თხის რქის ტროპიკი და მთლიანად სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარეობს

(დ) ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მდებარეობს სამხრეთის პოლარული წრის სამხრეთით

1. ავსტრალია
2. ანტარქტიდა
3. აფრიკა
4. სამხრეთი ამერიკა
5. ჩრდილოეთი ამერიკა

ა	ბ	გ	დ

32. რა ხელსაწყოა ნაჩვენები ილუსტრაციაზე? (მაქსიმალური ქულა 1)



33. დაასახელეთ, რა ობიექტი შეიძლება იყოს გამოსახული ილუსტრაციაზე, და ახსენით, რის საშუალებით დაადგინეთ ეს გარემოება? (მაქსიმალური ქულა 2)

34. ყურადღებით დააკვირდით მოსწავლის მიერ შევსებულ სქემას.

იპოვეთ სქემაზე დაშვებული შეცდომები და ჩაწერეთ შესწორებული სახით. დეტალურად ახსენით, რატომ არის ზოგიერთი აღნიშვნა/ჩანაწერი მცდარი (თითოეული შეცდომის გასწორება ფასდება 1 ქულით, ახსნა – 1 ქულით).



აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

I ფრენკ ბაუმის საბავშვო ზღაპარში „ოზის ჯადოქარი“ მოთხრობილია ამბავი პატარა გოგონა დოროთის შესახებ, რომელმაც სამ მეგობართან ერთად გადალახა ბევრი ბარიერი, გაუმკლავდა თავს დატეხილ ყველა განსაცდელს, რათა მიეღწია ჯადოქრის ქალაქამდე. მას იმედი ჰქონდა, რომ ჯადოქარი მისცემდა ყველაფერ იმას, რაზეც მეგობრები ოცნებობდნენ. ამის ნაცვლად ბრძენმა ჯადოქარმა დოროთი დაარწმუნა, რომ თავად მათ, ჯადოქრის დაუხმარებლად, შეეძლოთ თავიანთი სანუკვარი სურვილების ასრულება.

II როგორ შეიძლება ავხსნათ ის შეუპოვრობა და მიზანსწრაფულობა, რომელსაც ადამიანები იჩენენ სასურველი შედეგის მისაღწევად, არახელსაყრელი გარემო პირობების მიუხედავად? თანამედროვე მკვლევ-რები „იზიარებენ ჯადოქრის მოსაზრებას“, რომ ადამიანის ქცევის მოტივაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რეალობის სუბიექტურინტერპრეტაციაზე. ავსტრიელმა ფსიქოლოგმა ფრიც ჰაიდერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ქცევის შედეგი, მაგალითად, მოსწავლის მიერ II მიღებული ცუდი ნიშანი, შეიძლება ისეთ ძალებს მიეწეროს, როგორებიცაა ძალისხმევის არქონა, არასაკმარისი გონიერება, ანდა ისეთს, როგორიცაა, მაგალითად, არასამართლიანი გამოცდა ანდა ტენდენციური მასწავლებელი. ის, თუ რას მიაწერს ადამიანი საკუთარ წარუმატებლობას, გავლენას ახდენს მის მომავალ ქცევაზე. მოსწავლე უფრო ბეჯითად იშრომებს, თუ მიიჩნევს, რომ მიღებული ცუდი ნიშანი მის მიერ ნაკლები ძალისხმევის დახარჯვის შედეგია, მაგრამ მან შეიძლება თავი მიანებოს ყველაფერს, თუ ჩათვლის, რომ მიღებული ცუდი ნიშანი უსამართლობის ან შესაბამისი უნარის არქონის შედეგია.

ამერიკელმა მკვლევარმა მარტინ სელიგმანმა ექსპე- III რიმენტულად დაასაბუთა „დასწავლილი უმწეობის“ ფენომენის არსებობა. „დასწავლილი უმწეობა“ არის მდგომარეობა, როცა ადამიანი დარწმუნებულია, რომ

III სიტუაცია, რომელშიც ის აღმოჩნდა და რომელიც მას არ მოსწონს, სრულიად არ არის დამოკიდებული მის ძალისხმევაზე, ის ვერ აკონტროლებს მას; ადამიანი ურიგდება ბედს, პასიურია და არ ეძებს გამოსავალს. ამგვარი უმწეობა არ არის ადამიანის თანდაყოლილი მახასიათებელი – ეს მან დაისწავლა. ყოველივე ზემოაღნიშნული უშუალოდ უკავშირდება სწავლების თეორიასა და პრაქტიკას. მიუხედავად იმისა, თუ რა არის აკადემიური ჩამორჩენილობის მიზეზი, მასწავლებლის პოზიცია გადამწყვეტ როლს ასრულებს ჩამორჩენის გადალახვასა თუ განმტკიცებაში. ფაქტია, რომ ერთიმეორეზე მიყოლებული დაბალი ქულები მოსწავლის წარმატებას ვერ უზრუნველყოფს. პირიქით, ის საბოლოოდ გაუქრობს მას საკუთარი შესაძლებლობების რწმენას, გამოიწვევს იმედგაცრუებას. მოსწავლეები სრულიად დაკარგავენ სწავლის მოტივაციას, აღარ გამოიჩენენ ინიციატივას.

IV ერთ-ერთ ექსპერიმენტში სასკოლო ასაკის ბავშვებს შეუმუშავეს დასწავლილი უმწეობის განცდა. შემდეგ ისინი ორ ჯგუფად დაყვეს. პირველ ჯგუფს აწვდიდნენ ძალზე ადვილად დასაძლევ მათემატიკურ ამოცანებს და ამოხსნის შემდეგ აქებდნენ მათ, რითაც „დასწავლილი უმწეობის განცდა“ განუმტკიცეს. მეორე ჯგუფს კი აწვდიდნენ როგორც ადვილ, ასევე რთულ ამოცანებს. ყოველი წარუმატებლობის შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს ეუბნებოდა, რომ ეს მათი არასაკმარისი ძალისხმევის შედეგი იყო. ექსპერიმენტის ბოლოს ორივე ჯგუფის ბავშვებს აძლევდნენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს. აღმოჩნდა, რომ პირველი ჯგუფის ბავშვები, მეორე ჯგუფის ბავშვებისგან განსხვავებით, რთული ამოცანების ამოხსნისას ადვილად ყრიდნენ ფარ-ხმალს. მეორე ჯგუფის ბავშვებმა ქცევის შედეგის ახსნის საწყისი „არასაკმარისი უნარების“ მოდელი „არასაკმარისი ძალისხმევის“ მოდელით შეცვალეს. IV

შეკითხვებზე გადასვლა: 35 36 37 38 39 40 41

35. ძირითადი საკითხი, რომლის შესახებაც საუბარია პირველ აბზაცში („ოზის ჯადოქრის“ სიუჟეტში) არის:

(ა) საკუთარი შესაძლებლობების სხვაგვარად გააზრება

(ბ) საკუთარი შესაძლებლობების შესაფერისი მიზნის შერჩევა

(გ) მიზნის მისაღწევად საჭირო შესაფერისი ქცევის შერჩევა

(დ) დაბრკოლებებთან გამკლავების უნარის გაუმჯობესება

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42

36. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მეორე აბზაცის დასაწყისში დასმული შეკითხვის პასუხი?

(ა) რაც უფრო შეუპოვარია ადამიანი და რაც უფრო მეტ ძალისხმევას დახარჯავს, მით უფრო წარმატებული იქნება ის.

(ბ) ადამიანი მით უფრო დაჟინებულია მიზნის მიღწევისას, რაც უფრო მეტად მნიშვნელოვანია მისთვის მისაღწევი შედეგი.

(გ) ადამიანი შეუპოვარი და მოტივირებულია მიზნის მიღწევისას, თუ მას მიაჩნია, რომ შედეგი მხოლოდ მის ძალისხმევაზეა დამოკიდებული.

(დ) ადამიანი ვერ მიაღწევს წარმატებას, თუ მისი წარმატება სიტუაციურ ძალებზეა დამოკიდებული.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42

37. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი **<u>არ არის განხილული</u>** ტექსტში, როგორც რეალობის სუბიექტური ინტერპრეტაციის შედეგი?

მოსწავლის აღქმა, რომ:

(ა) ტენდენციური მასწავლებელი ჰყავს.

(ბ) ნაკლები ძალისხმევა დახარჯა.

(გ) არასაკმარისად გონიერია.

(დ) ცუდი ნიშანი მიიღო.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#)

38. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი **<u>არ შეიძლება მივიჩნიოთ</u>** „დასწავლილი უმწეობის“ განცდის ილუსტრაციად?

(ა) მოსწავლე უარს ამბობს იმ საგნის შესწავლაზე, რომელიც მის სამომავლო მიზნებს არ შეესაბამება.

(ბ) მოსწავლე ვარაუდობს, რომ კონკრეტული ამოცანის შესრულება მის შესაძლებლობებს აღემატება.

(გ) მოსწავლე ფიქრობს, რომ აზრი არ აქვს სწავლას, რადგან მასწავლებელი მაინც არ დაუწერს კარგ ნიშანს.

(დ) მოსწავლე არ იჩენს გაკვეთილზე ინიციატივას, რადგან ფიქრობს, რომ მისი იდეა არ იქნება საინტერესო.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

39. ბოლო აბზაცში განხილულ ექსპერიმენტში მეორე ჯგუფის ბავშვები, პირველისგან განსხვავებით, რთული ამოცანების ამოხსნისას ადვილად არ იხევდნენ უკან იმიტომ, რომ:

(ა) პირველი ჯგუფის ბავშვებისგან განსხვავებით, მათ მხოლოდ ადვილად დასაძლევ დავალებებს არ აძლევდნენ.
(ბ) ისინი წინასწარ დაარწმუნეს – მათი წარუმატებლობა არასაკმარისი უნარების შედეგი კი არ არის, არამედ ნაკლები ძალისხმევის.
(გ) პირველი ჯგუფის ბავშვებისგან განსხვავებით, მათ წინასწარ არ ჰქონდათ დასწავლილი უმწეობის განცდა.
(დ) ისინი მარტივი დავალებების წარმატებით დაძლევისას კი არ შეაქებ, არამედ უფრო რთული დავალებები შეასრულებინეს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42

40. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ადამიანის ქცევას ხშირად განსაზღვრავს მისი **რწმენა იმის შესახებ,** თუ:

I. რა იყო პასუხისმგებელი წარსულში განცდილ წარმატებასა და მარცხზე;

II. რისი გაკეთება შეუძლია;

III. რა უნდა იყოს მისი მიზანი.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია განხილული ტექსტში?

(ა) მხოლოდ II

(ბ) მხოლოდ III

(გ) I და II

(დ) I და III

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42

41. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ტექსტის ბოლო აბზაცში განხილულ ექსპერიმენტში მიღებული შედეგებიდან?

(ა) მოსწავლის მოტივაციის ნაკლებობას განაპირობებს მის მიერ დავალებათა წარმატებით შესრულებისთვის მიღებული დადებითი უკუკავშირი.

(ბ) მოსწავლის შრომისმოყვარეობა და სიბეჯითე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მის გონებრივ შესაძლებლობებზე.

(გ) „დასწავლილი უმწეობის“ განცდა განაპირობებს მოსწავლის მოტივაციის დაქვეითებას, თუმცა, მისი შეცვლა შესაძლებელია.

(დ) „დასწავლილი უმწეობის“ განცდის მქონე მოსწავლის მიზანსწრაფულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ხშირად აქებს მას მასწავლებელი.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42

ანალიტიკური წერა

42. გალაკტიონის ერთი ლექსი ასე იწყება:

„არის **მკითხველი** მშვენიერ წიგნის
და არის მხოლოდ **გადამკითხველი**...“

რა განასხვავებს **მკითხველს გადამკითხველისგან**?

- იმსჯელეთ, როგორ ყალიბდება ადამიანი კარგ მკითხველად – რა გარემოებები განაპირობებს ამას, როგორ უნდა შევუწყოთ ხელი ბავშვის კარგ მკითხველად ჩამოყალიბებას;
- განაზოგადეთ ეს საკითხი; იმსჯელეთ, რა განაპირობებს საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას და რა შედეგები მოჰყვება მას.

მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები. თქვენ მიერ დაწერილი თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას.

(მაქსიმალური ქულა 11)